

დამოუკიდებელი საკრებულო გაზეთი

19 აპრილი, პარასკევი, 1991 წ. № 71 (10484) • ზანა 10 კპა.

გამოცემის 1934 წლის 13 აპრილიდან

გუშინ გაიმართა საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის მორიგი სხდომა. სესიამ საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ ერთხმად აირჩია ბატონი აკაკი ასათიანი. სესიამ განიხილა რესპუბლიკისათვის მნიშვნელოვანი საკითხები და მიიღო უსაზღვროდ დადგინებული პირობები.

საქართველოს რესპუბლიკის საკრებულო დეპარტამენტი

ლიტვის საკრებულო საზოგადოებრივი სახელით გილოცავთ ისტორიული მნიშვნელობის აქტს — საქართველოს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობის აღდგენას, სოლიდარობას ვუცხადებთ თქვენს ხალხს სწრაფად და მოუკიდებლობისაკენ. გისურვებთ სიმამაცესა და ნებისუფერადობას უზენაესი მიზნისაკენ სავალ გზაზე.

რასლანასი, ლიტვის რესპუბლიკის მთავრობასთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის ვენერაბელი დირექტორი.

ბილთავთი სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას და ხალხის ნების გამარჯვებას, ჩვენი ხალხები დიდი ხანია მებრძობენ და ეს მებრძობა კვლავაც უნდა გაგრძელდეს. მადლობას ვიხდით, რომ თანხმად ხართ ხელმოწერის მოწვევას და საქართველოს შორის საკრებულო თანამშრომლობის ხელშეკრულებას. ხელშეკრულების პირობების განსახილველად და დასახულებლად ლატვიის ვიწვევთ თქვენს დელეგაციას თქვენთვის მოსახერხებელ დროს, რათა მოვეზადოთ საქართველოს ხელმძღვანელთა თათბირისათვის თბილისში, სადაც ჩვენ თავზიანად მიგვიწვიეს სათანადო საბუთებზე ხელმოწერად. ველით თქვენს წინადადებებს.

პატრიცია მთიანეთის ზნაბანი.

# რა ემუქრება საბჭოთა საკრებულო „საგოლოდ ის მოიგებს, ვინც თავს დროულად უპებლის“...

ინგრევა იმპერია და მისი ძლიერების ერთ-ერთი ტრადიციული ნიშნობა — საბჭოთა საკრებულო. რა დონე არ იმარტებს და რა საშუალებებს არ მიმართებს ამ სახელმწიფოებრივი უწყების მესვეურებმა, მაგრამ ამოღებული მის უდიდესი მნიშვნელობის, პრეზიდენტ გორბაჩოვთან საბჭოთა საკრებულის გამოჩენილ მოღვაწეთა შეხვედრებშიც ვერ უშველა საქმეს. წყაღადებული ხავსს ეკიდებოდა, — ამას წინათ, საკავშირო საკრებულოებმა (ახლა ასე ეწოდება) თანამშრომლობის ხელშეკრულების პროექტი დაუგზავნა რესპუბლიკებს. მაგრამ ეს კიდევ არაფერი. უფრო გახალისებულ იმ არის, რომ რესპუბლიკებს „ცენტრი“ თავად კარნახობს უფლებებს. ჩვენმა საკრებულოებმა და საკრებულო მუშაკებმა უნდა იცოდნენ საკავშირო საკრებულოების პოლიტიკა. მოვიტანთ ერთ ამონაწერს ამას წინათ, კერძოდ, 9 აპრილამდე მოხვდებოდნენ მოხუც ხელმძღვანელებს პროექტიდან: „საქართველოს რესპუბლიკის საკრებულო დეპარტამენტი ანდობს სსრ კავშირის საკრებულოებს განახორციელოს საკრებულოთა მზადება, ხოლო საკრებულოს სახეობებში სსრ კავშირის ფედერაციებში წარმოადგინონ რესპუბლიკის საკრებულოთა ინტერესები საერთაშორისო შეჯიბრებებში საბჭოთა კავშირის ნაკრებ გუნდებში“. ხედავთ, რას გვთავაზობდნენ? ცინიზმი, ალბათ, ამაზე შორს ვერ წავა. მადლობა ღმერთს, საქართველოს სახელმწიფოებრივობის აღდგენის შემდეგ, ისედაც ყველაფერი გაირკვა. თუმცა, ასეთი თავხედური წინადადებებით ავსილი დოკუმენტის უპასუხოდ დატოვება არ შეიძლებოდა და, აქი, არც დატოვა ჩვენმა საკრებულო დეპარტამენტმა.

საკავშირო საკრებულოები, როგორც იტყვიან, შავ დღეშია. ახლა, როცა იმპერიას ფეხქვეშ მიწა ეცლება და თავზე ცა ენგრება, საკრებულოსთვის ვიღაც სცხებდა. უკვე აშკარად იკვეთება პოლიტიკა — საბჭოთა ქვეყანა აღარ აპირებს მსოფლიოში შეინარჩუნოს ზესაბრტული სახელმწიფოს სახელი. ალბათ, სულ მალე ისეთივე მწვავე სიტუაცია შეიქმნება საბჭოთა საკრებულო, როგორც აღმოხვედნენ ევროპის ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებში — საბჭოთა კავშირში შემავალ რესპუბლიკებში, თავს იჩენს უმუშევრობა, სპეციალისტები და მაღალი კვალიფიკაციის საკრებულოები სოციალურად სრულიად დაუცველები აღმოჩნდებიან. საკავშირო ოლიმპიური კომიტეტი ჭერჭერობით მხოლოდ საკრებულოთა და სპეციალისტთა სოციალური დაცვის დეკლარირებას სტერდება. ან კი რა შეუძლია ისეთ ოკ-ს, რომელსაც თავისი სამუშაო ადგილი არ გააჩნია და მისი პრეზიდენტი დიდი ხანია თავადაა უმუშევარი, საკუთარი ხელფასის საკითხი ვერ მოუგვარებია. სიტყვამ მოიტანა და ვიტყვი: საბჭოთა კავშირის ოლიმპიური კომიტეტიც დღეს, 19 აპრილს, უსრულდება „დამოუკიდებლობის“ ერთი წელი. ინგრევა იმპერია და ინგრევა საბჭოთა საკრებულოც. საბოლოოდ ის მოიგებს, ვინც თავს დროულად უშველის და ნანგრევების ქვეშ არ მოყვება.



გუშინ „ლელო“ იუწყებოდა, რომ წყალსაბინამაჟორო საკრებულო ევროპის 1991 წლის ჩემპიონატის ფოტოში ჩატარებასთან დაკავშირებით, საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის ბატონ თენგიზ ხიფათის თავმჯდომარეობით, ჩვენს შავილენისპირა ქალაქში ჩატარდა ჩემპიონატისათვის მზადების ხელმძღვანელობის სამთავრობო საორგანიზაციო კომიტეტის გამსვლელი თათბირი. ორგანიზაციის წევრებმა, სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელებმა დაათვალიერეს მშენებარე ობიექტები. ფოტორეპორტიორმა რ. ღვამიჩავამ სწორედ ეს მომენტი აღებდა ფირზე.



კაკაბიძე ზურაბ ფირცხალავა

## „საქართველოს მავიძის ჩოგბურთელაგმა დიდი მოწონება დაიმსახურა“

პაატა ფირცხალავა და კიდევ ორი გოგონა ჩინეთში მიიწვიეს სტაჟირებაზე

იხ. გვ. 2 გვ.

„დიდი მუშარადის“ მორეა ბურნიკის წინ

ლელა მისი — მეთორმეტე ნომრად საფრანგეთის ჩოგბურთელთა და ჩემპიონატის მოახლოვებასთან დაკავშირებით („დიდი მუშარადის“ ეს რიგით მეორე ტურნირი დაიწყო პარიზში 27 მაისს) ორგანიზატორებმა გამოუშვეს პრეს-ბიულეტენი, რომელშიც ბევრი საინტერესო ცნობა დაბეჭდილია.


როგორც ირკვევა, მიწის კორტეზზე მსოფლიო არაოფიციალურ ჩემპიონატში (ამ ტურნირს ზოგჯერ ასეც უწოდებენ) გამოსვლაზე შედარებით მესამე ამბობს უარს ამერიკელი მარტინა ნაგარტილოვა. 34 წლის ჩოგბურთელი, რომელიც საფრანგეთის ჩემპიონის ტიტულს 1982 და 1984 წლებში ფლობდა, გადაწყვეტილი აქვს მთელი ყურადღება უიმპლიონის ტურნირზე გადაიტანოს და არ დაარღვიოს ბალახის კორტზე მზადების ციკლი (ნაგარტილოვას, როგორც ცნობილია, ცხრაჯერ აქვს მოგებული უიმპლიონის).

საფრანგეთის ამ ლია ჩემპიონატს გამოტოვებს, ასევე, მსოფლიო კლასიფიკაციის მიხედვით მეორე ჩოგბურთელი ზინა პარისონი. ბიულეტენში ნათქვამია, რომ თუ კიდევ რომელიმე ჩოგბურთელმა არ თქვა უარი საფრანგეთის ლია ჩემპიონატში მონაწილეობაზე, პირველ სამ ნომრად პარიზში განითქვებიან მონიკა სელეში (იუგოსლავია), შტეფი გრაფი (გერმანია) და გაბრიელა საბატინი (არგენტინა). ამ ტურნირში ჩვენი თანამშრომელი ლელა მისი მეთორმეტე ნომრით თამაშებს, სხვათა შორის, ეს პირველი შემთხვევაა, როცა ჩვენს საკრებულოს რეგიონული დელეგაციის ადგილს აკუთვნებენ, ვიდრე მინსკელ ნატალია ზერევა, რომელიც პარიზში მეთორმეტე ნომრად დაა განთავსო.

# თანამედროვე ოლიმპიადები — პირველიდან ოცდამეხუთამდე

იხვე მსოფლიო გამოყენება, იხვე პრობლემები

მესამე ოლიმპიური თამაშებს (აშშ, სენტ-ლუისი, 1904 წლის 1 ივლისი—23 ნოემბერი) სპორტის ისტორიკოსები სხვაგვარად ამერიკის ოლიმპიადასაც უწოდებენ და აი, რატომ: თამაშების 625 მონაწილედან აშშ-ს დელეგაციის წევრი იყო 533 სპორტსმენი. ცხადია მედლების უმრავლესობა მასპინძლებს



ოლიმპიური სენტ-ლუისი. 1904 წელი.

ამერიკის ქვეყნებს გამოუჩენიათ კანადა და კუბა სულ 4-4 სპორტსმენით იყვნენ წარმოდგენილი, და კიდევ ერთი დეტალი: სენტ-ლუისში ასპარეზობდა 8 სპორტსმენი ქალი (ყველა — მშვილდოსანი). მიუხედავად ამისა, სპორტის თითქმის ყველა სახეობაში ნაჩვენებია იყო ბრწყინვალე შედეგები. მძლეოსნებმა, მაგალითად, 16 ოლიმპიური რეკორდი გააუმჯობესეს, რომელთაგან ორი მსოფლიო რეკორდსაც აღემატებოდა. ერთ-ერთი უნიკალური შედეგად იქნა მიჩნეული ამერიკელი არჩი ჰანის მარცხენა 200 მეტრზე რბენაში (21,6). ამ რეკორდმა 28 წელს იარსება. საერთოდ კი არჩი ჰანმა სენტ-ლუისში სამი ოქროს მედალი მოიგო (60, 100 და 200 მეტრზე რბენაში). სამგზის ოლიმპიური ჩემპიონები გახდნენ, აგრეთვე, ამერიკელები ჯიმს ლაიტბოლი (800, 1500 და 2500 მ), რეი იური, რომელსაც „ადამიან-კალჩუს“ უწოდებდნენ (ადგილიდან ბტომის სამივე სახეობა) და გარი ჰოლმენი (400 მ, აგრეთვე 200 და 400 მ. თარგენი). III ოლიმპიური თამაშების პროგრამაში შემდგომი ცვლილებები მოხდა. დროებით ამოიღეს ცხენოსანთა, აფროსანთა, ველოპედისტთა და მსროლელთა ტურნირები.

იხ. გვ. 3 გვ.

# ასე გადაგებათ თბილისის რინგისკენ მიმავალი გზა

დამოუკიდებლობის რეალური გზით მიმავალ საქართველოში რაც უფრო მასშტაბური ასპარეზობები ჩატარდება, მით უფრო ცხადი და რეალური გახდება აღიარება. ეს, რა თქმა უნდა, კარგად იცის „ცენტრმა“ და არაავითარ ხანჭივებს არ ერიდება, ქართული სპორტის ფართო ასპარეზზე ვახვლა რომ შეადგინოს. პირველი ევროპის ექსპედიციონ. დავით კვაჭავაძის ტრადიციული პრიზის VII გათამაშებაში მონაწილეობის სურვილი გამოთქვეს პოლონელებმა, კერძოდ, ვარშავის ჰაბუკთა ნაკრებმა: ამით დ. კვაჭავაძის ტურნირის პრესტიჟი ამოღებოდა და საერთაშორისო სტატუსსაც შეიძენდა, მაგრამ პოლონელთა გუნდის მოსკოვიდან თბილისში გადმოსაცვანად ბილეთების საფასური გალუტით მოსთხოვეს. ასეთი სახსრები კი, მოგახსენებთ, არც საქართველოს განათლების სამინისტროს ბავშვთა და მოზარდთა კრივის სპეციალიზებულ სპორტულ სკოლას (ასპარეზობა მისი თაოსნობით იმართება) და არც კრივის რესპუბლიკური ფედერაციის არ გააჩნიათ, ამდენად, უცხოელთა ჩამოსვლა ვერ მოხერხდა. მიუხედავად ამისა, ტურნირი „სამონაო მასშტაბით“ მიიწვი არ შემოზღუდულა. შეჯიბრებაში ჩვენებთან ერთად, 8 უხბეკი ჰაბუკი ჩა-

ება, რომელთაგან საუკეთესო იყო 42 კგ წონითი კატეგორიის წარმომადგენელი ი. ხაფიზოვი. მან უკვე მოიპოვა უძლიერესის სახელი. ტაშკენტელმა სპორტსმენმა პირველ დღეს თბილისელ მ. ბაბაევს სძლია, შემდეგ კი გაიმარჯვა ქუთაისელი ი. ბაბაელოვთან შეხვედრაში. მეორე რაუნდში აშკარა უპირატესობით სძლია წითელწყაროელმა ბ. ვარძელაშვილმა (44 კგ) გორულ ნ. პაპუციშვილს, მწაბვლის სანის ბ. ალიევა (თბილისი) მესამე რაუნდში უარი ათქმევინა ქიათურელ ზ. იობაშვილს ბრძოლის გაგრძელებაზე. ასპარეზობის მეორე დღეს გამარჯვებს სახერგულმა ვ. კუბალაძემ, თბილისელებმა: რ. ჭილაივიანმა, დ. გრიგორიანმა, ო. სლოიანმა, ქიათურელმა მ. კაპანაძემ (ყველა — 54 კგ), ქუთაისელმა მ. ტროშულიძემ, სენაკელმა დ. თულაძემ, გორულმა ზ. გელაშვილმა, ქიათურელმა ზ. სეზიკვაძემ (ყველა — 60), ქიათურელმა ი. ტყემალაძემ, გორულმა ი. ტლაშაძემ (63), ქუთაისელმა ვ. ქარქაშაძემ (70) და ქიათურელმა გ. ბურჭანაძემ.

გუშინ გამოვიდნენ გამარჯვებულები ხამ წონით კატეგორიაში. ენეს არიან გორელი ი. ტლაშაძე (63 კგ), ქუთაისელი ლ. რუხაძე (79), ტაშკენტელი რ. კაშიაიევი (74).

შუანგ ვიზინაძე



თხრამ  
პეიკაპა  
ჩინელსან აკოპო

ირაკლესის საერთაშორისო ტურ-  
ნირო, რომელიც „ბიკალის პრობიო“  
არის ცნობილი, პირველი გამოცემა  
გახლდათ საქართველოს მთავრობის  
ჩოგბურთელებისთვის და საქართველო  
სერობოლოც, რადგან აქ მონაწილეობდნენ  
ჩინეთის, მონღოლეთის, ჩრდილოეთ კორეის,  
იაპონიის, ნაკრები გუნდები; აგრეთვე რუსეთის  
ფედერაციის, ტაჯიკეთისა და საქართველოს  
ჭარბადაც ჩინელები. ჩვენებში ტურნირზე  
მიიღეს დამოუკიდებელი მიწვევა.

განსაკუთრებით კარგად გამოვიდა  
პაატა ფირცხალავა, რომელმაც ყველა  
მეტრე დაამარცხა და ფინალში შეხვდა  
ჩინელ სპორტსმენს ხან იანს. აქამდე ჩვენი სპორტსმენები  
მხოლოდ „შორიდან“ იცნობდნენ ჩინელ  
მაგიდის ჩოგბურთელებს, იშვიათად უხდებოდათ  
მათთან ასპარეზობა. პ. ფირცხალავა  
ორიოდე წლის წინ შეხვდა ჩინელებს,  
მაგრამ მაშინ დაამარცხა. ასევე პირველი  
პარტია წააგო 18:21, მაგრამ მეორე ადვილად მოიგო  
21:15, მესამე ვადამწყვეტ შეხვედრაში  
ანგარიში თანაბარი — 19:19 იყო. აქ  
იმარჯვა პაატამ, ბოლო ორი ვადამწყვეტი  
ქულა მოიპოვა და მიტჩის მოგებასთან ერთად  
ტურნირის გამარჯვებულის სახელი დაიმსახურა.  
იგი სპორტსაზოგადოება „შეფარდნის“  
წევრია, ჯემალ მელაძე ავარჯიშებს.

ჩინელები აზრით, ჩვენ სპორტსმენებს  
სხვათაგან განსხვავებული ხელწერა აქვთ.  
საქართველოს მაგიდის ჩოგბურთელებმა  
დიდი მოწონება დაიმსახურეს. პაატა ფირცხალავა  
და ორი გოგონა კი მიიწვიეს ჩინეთში  
სტაჟირებაზე. ხარჯების ნახევარს ჩინელებმა  
კისრულობენ. ეს პირველი აღიარება და პირველი  
დამოუკიდებელი ნაბიჯებია საერთაშორისო  
სარბიელზე მას შემდეგ, რაც დამოუკიდებელი  
ფედერაცია შეიქმნა. ახლა ფედერაციას, საქართველოს  
სპორტის დეპარტამენტთან ერთად, მეტი  
თანხების გაღება შეუძლია რეზერვის  
აღსახრდელად. ამასთან სპორტსმენებს  
თანხების გაზარდვის მიზნით საშუალება  
ექვსავთ. თუ აღრე „ცენტრის“ ნება-სურვილზე  
იყო ყველაფერი დამოკიდებული, ახლა  
ვითარება რადიკალურად შეიცვალა, ჩვენ  
თავად უნდა ვეძებოთ საერთაშორისო ურთიერთობების  
გზები.



მხოლოდ ტექნიკური შედეგები რეკორდებით და... გოგონას მონაწილეობით

საქართველოს თახის გათამაშება ათლეთის ძალიანი ხაჭაპურით. ი. ჯავახიშვილის ხაჭაპურის ხახლმწიფი უნივერსიტეტის მადლიერი კორპუსის სპორტული დარბაზი.

გუნდური პირველობა: 1. სიღნაღი, 2. სამედიცინო ინსტიტუტი, 3. თელავი.

პირად პირველობაში გამარჯვებულნი: 52 კგ. დავით აფანასიევი (სიღნაღი), 56 — ივანე ამონაშვილი (სამედიცინო ინსტიტუტი), 60 — მამუკა შენგელია (სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი), 67,5 — დავით შერაბიშვილი (სიღნაღი), 75 — ვლადიმერ შახნაზაროვი (სამედიცინო ინსტიტუტი), 82,5 — დავით ბუკიანიშვილი, 90 — სოლომონ ნეკერიშვილი (ორივე—თელავი), 100 — ალექსანდრე აბულაძე (სამედიცინო ინსტიტუტი), 110 — გოჩა ინაშვილი (სიღნაღი), 125 — შოთა ბუკიანიშვილი (სიღნაღი).

გამარჯვება საქართველოს რეკორდით მოიპოვეს აფანასიევი (იგი 13 წლისაა), შენგელია და ჩეკურიშვილი. რეკორდი დაამყარა აგრეთვე მამუკა მიქაქაძე. ასეთ შეჯიბრებაში პირველად მონაწილეობდა გოგონა — ეკა ხიზანიშვილი (52 კგ). ეკამ სპორტის ოსტატის კანდიდატის ნორმატივი შეასრულა.



„ხუთნაირი ფერი — აბრძვებს თვალს. ხუთნაირი გზარა — ახსოვს ყურს. ხუთნაირი გზომ — ახლუნკებს გემოვნებას...“ ლაო ძი

...უპირველეს ყოვლისა, ვხარგებლობ შეთხვევით და ვულოცავ ჩვენს მეთხვევს, ყველა ჩემს თანამემამულეს ჩვენი ცხოვრების უდიდეს ფაქტს — საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას.

ამასთან დაკავშირებით, ვფიქრობ, ერისთვის სასიკეთო იქნებოდა, თუ საქართველოში შექმნილი აღმოსავლური ორთაბრძოლის ყველა ასოციაცია და ფედერაცია, ასევე ცალკეული სკოლები გაერთიანდებოდნენ ერთ მონაწილურ ორგანიზაციად (იაპონიაში არსებული „ბუდოკანის“ მსგავსად), რომელიც გააგრძელებდა საზოგადოება „შეფარდნის“ ბრწყინვალე ტრადიციებს და მიზნად დაისახავდა ხალხის ფიზიკური და სულიერი წრთობისთვის ზრუნვას. კარგი იქნებოდა, რაღაც საერთო აუცილებელი პროგრამის შემუშავება (როსა თქმა უნდა, სკოლის საკუთარი პროგრამის გარეშე) და ამ პროგრამით მასობრივი საჩვენებელი გამოცდების მოწყობა სტადიონებსა და მოედნებზე, როგორც ამას გ. ნიკოლოძე და გ. ევგენაშვილი აცემდნენ თავის დროზე. კორეასა და ჩინეთში დღესაც ძალზე პოპულარულია ასეთი გამოსვლები.

ეს იქნება გამოხატულება ჩვენი ერთსულოვნებისა, ერთმანეთისთვის მზარში ამოდგომისა ერის საკეთილდღეოდ — იმ დაპირისპირების ნაცვლად (ფედერაციების, ასოციაციების, ცალკეულ სკოლებსა და სპორტსმენებს შორის), რომელსაც ძალაუნებურად ვხვდებით ხოლმე შეჯიბრებებსა და ჩემპიონატებზე. ერთსულოვნება, საბრძოლო სულისკვეთება დღეს ისე სჭირდება საქართველოს, როგორც არასდროს. ამაზე ყველა უნდა ვიფიქროთ...

...ტაი-ცი ციუანის, ანუ შემოკლებით ტაი-ცი-ს ვარჯიშთა კომპლექსების შესრულებისას უნდა ყოველთვის გვახსოვდეს და აუცილებლად დავიცვათ ხუთი ძირითადი პრინციპი: 1) ნელი ტემპი (გაიხსენეთ „ჩიტის ბუმბული“, რომელზედაც აღრე გვექონდა საუბარი), 2) თანაბარი რიტმი (თანაბარი, მდორე მოძრაობა, ყოველგვარი აჩქარებინა. თუ შენელების გარეშე), 3) უწყვეტობა (მოძრაობა უშუალოდ როგორც ორთაბრძოლისას, ისე, და განსაკუთრებით, ვარჯიშის დროს), 4) „სირბილი“ („კატისებური“ მოძრაობა, ანუ მოძრაობა ყოველგვარი დამბულობის გარეშე) და 5) აზრანობა (თითოეულ...

გაგრძელება. დახაწის იხ. „ლელო“ № 62, 66.

ლი მოძრაობა, ნაბიჯი, ყესტი გაცნობიერებული, აზრით უნდა იყოს. გონებამწყვდი, დაწმენილი და, ამავე დროს, სხარტიცი).

...საერთოდ, ხუთი, ძველ ჩინელთა გაგებით, საკარლური რიცხვია. „ხუთნაირი ფერი“, რომელზედაც ლაო ძი ლაბარაკობს, არის: მწვანე, წითელი, ყავისფერი, თეთრი (ყვითელი) და ცისფერი; „ხუთნაირი გეშა“ — „მუავე, ცხელი, ტბილი, მწარე, მლაშე. სამყაროც (მაკროკოსმოსი) „ხუთი პირველუმენტისაგან“ — ხის, ცეცხლის, მიწის, ლითონისა და წყლისაგან შედგება. არსებობს „ხუთნაირი ხუთი მოვლენა“ — ქარი, სიციხე, ტენიანობა, სიმშრალე და სიცივე. გეოგრაფიაშიც ხუთი მიმართულებაა, „ქვეყნის ხუთი მხარე“: აღმოსავლეთი, სამხრეთი, შუა (ცენტრი), დასავლეთი, და ჩრდილოეთი. „ხუთნაირი სახეცელოლებს“ განიცდიან ცოცხალი ორგანიზმები. ეს არის: დაბადება, განვითარება, გარდაქმნა (ცვალებადობა), ჭკობა და გაქრობა (ანუ სიკვდილი).

ამ „ხუთობით სისტემას“ აღამიანიცი (ე. ი. მიკროკოსმოსი) ემზარჩილება. მისი სხეული შედგება „ხუთი სტრუქტურისაგან“ — ეს არის: კუნთები, ძარღვები, მყესები, კანი და თმა, ძვლები. მას აქვს „ხუთი ხერხელო“ („ფანჯარები“): — თვალები, ენა, პირი, ცვირი, ყურები; „ხუთი ინ-ორგანო“ — ლდომი, გული, ელენთა, ფილტვები, თირკმელები; „ხუთი იან-ორგანო“ — ნიღვლის ბუშტი, წვრილი ნაწლავი, კუჭი, მსხვილი ნაწლავი. შარდის



ტაი-ციის დიდიხატები პეტრა (მარცხნივ) და ტილი კობაიაშვილი ასრულებენ ტუი-შუს პირველი ხაფხურის იღეთს.

ბუშტი. აღამიანს ახსიათებებს „ხუთნაირი ემოცია“ — ფიქრი, დარდი, შიში, სიხარული და შრისხანება...

ტაი-ციის ხელოვნების შესწავლა იწყება პერსონალური („სოლო“) ვარჯიშების შესრულებით. ეს არის: „ცხოუ-ცხი“ — უთაროდ მარტო ვარჯიშების კომპლექსები: 24-, (27-), 37-, 54-, (88-), 108-ა და (124) — პოზიანი ფორმები. შემდგომ ეტაპებზე მათ მოსდევს წყვილური ვარჯიშები: ტუი-შუ — „კუდა ხელებით“, ტა-ლიუ — „პედალისი გადაადგილება“, სან-შუ — „ხალების გაბნევა“, აგრეთვე იარაღის ფორმები: გუნ-შუ — „ქოკის (ფლობის) ხელოვნება“, ცხიან-შუ „მხვილის (ფლობის) ხელოვნება“, დაო-შუ — „ხმლის ხელოვნება“ და ა. შ.

ტაი-ციის ხუთი პრინციპი

ალსანიშნავია, რომ ტაი-ცი ციუანში არც საჭურველს იყენებენ ტრადიციული დანიშნულებით, ე. ი. როგორც ზღაგე დასარტყმელ, მქეზავ, მხვლეტავ და მჭრელ იარაღს. აქ მათი დანიშნულებაა ოსტატს, თუ შეიძლება ასე თქვას, „დაუგრძელი ხელები“, ანუ შეიარაღებულ მოწინააღმდეგეს მიაწვდინონ იგი, უფრო კონკრეტულად, აქ მათ ორგანიზმის ფუნქცია ეკისრებათ: მეორეხარისხოვანი — დაეზღვიოთ თავი მოწინააღმდეგის იარაღისაგან, და პირველხარისხოვანი — მოვიხმაროთ საჭურველი (ქოკი, ხმალი, მახვილი და სხვ.), როგორც ცი-ენერგიის გრძელი გამტარი.

სწორედ ამიტომ, ტაი-ციის იარაღიან ფორმებშიც არ გვხვდება დარტყმითა ბლოკირება: ჩვენი იარაღი უნდა „მიეწებოს“ მოწინააღმდეგისას, მის ჩრდილად უნდა იქცეს, თვალშეუღლები სისწრაფით უნდა ქსოვოს მის ირგვლივ „სიკვილის ქსელი...“ ეს აბრუებს, აშინებს და თრუნაყს მოწინააღმდეგეს, რადგან, სათქვენად უნდა წავიდეს იგი, როგორც უნდა შეუტოს, ყველაგან უცნაურ „სიცარიელეში“ ვარდება. იგი უეცრად დაბრუნდებულ აღამიანს ემსგავსება, უმწეოდ რომ ასავსავებს პარში ხელებს...

„ცხოუ-ცხის“ მეტ-ნაგებულ უკვე იცნობს დაინტერესებულ მკითხველს: სწორედ მასზეა ლაბარაკი ბოლო დროს აგრერეგად მომარაგებული თითქმის ყველა სტადიას თუ სახემოდგენლოში, სოლო ვარჯიშების 24- და 37-პოზიან ფორმებზე მეც მისაუბრია „ლელოს“ ფურცლებზე.

დღეს ტუი-შუზე ვილაპარაკოთ. ტუი „კვრას“, ან „ხელის კვრას“ ნიშნავს ჩინურად, ე. ი. ტუი-შუ — „ხელის კვრის ხელოვნება“.

ამ კომპლექსის ამოცანაა, განავითაროს ჩვენი ინტუიცია და მოძრაობათა კოორდინაცია. შემდგომში ჩვენ უნდა შეგვეძლოს, ინტუიციურად გამოვიცნოთ მოწინააღმდეგის შეტევის მიმართულება, „ავირეკლოთ“ იგი, „გავატაროთ სიცარიელეში“ მოპირდაპირე, შევიგონოთ, რა მომენტში დაკარგავს იგი წონასწორობას და მაშინვე, დაუყოვნებლივ შევუტოთ (ისე, რომ თავად არ დაეკარგოთ წონასწორობა).

შესაბამისად, ტუი-შუს საფუძველი ტაი-ცი ციუანის ოთხი ძირითადი მოძრაობა — „არეკლა“, „უკუ გადაწოლა“, „წინდაწოლა“ და „კვრა“ (ან „ხელის კვრა“), რომლებიც სოლო ვარჯიშების კომპლექსებში გავითარებულა სახელოვნებით „ბელურას ბოლოთი დაქვრა“.

...ტუი-შუს, რა თქმა უნდა, სამკურნალო მნიშვნელობაც აქვს. კერძოდ, ამ სახის ვარჯიშების სისტემატური შესრულება აუმჯობესებს ნივთიერებათა ცვლას, ამაღლებს ემოციურ ტონუსს. როგორც დიდიხატები პეტრა კობაიაში აღასტურებს, რამდენიმე თვის ვარჯიშის შედეგად ჩამართელობის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას აღწევენ როგორც ანემიით, პიპერტრონიით, კუჭ-ნაწლავისა და თირკმელების ავადმყოფობებით, ისე ნევრასთენიის მძიმე ფორმებით, თვით დამბლითა და ტრუბერკულოზით დაავადებულ აღამიანეიც კი...

წყვილური ვარჯიშები სულ რვა საფეხურისაგან შედგება. ისინი იმგვარადაა განაგარიშებული, რომ ყოველი მომდევნო შეიცავს წინა საფეხურებს, წარმოადგენს მათ კომპონენტებს, მათ შემდგომ განვიითარებას.

ყველა საფეხურზე, რა თქმა უნდა, ძალაში რჩება „ტაი-ციის ხუთი


პრინციპი“, მოძრაობა კი წრითულია, ე. ი. შევსრულდება რა ჩემ-ლურას ბოლოთი დაქვრასთან მოძრაობას თანმიმდევრულად, ჩვენმა სხეულმა პირიზონტალურ სიბრტყეში უნდა შემოხაზოს წრე (უფრო სწორად, ელიფსი) და დაუბრუნდეს საწყის მდგომარეობას.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ ვარჯიშის დროს იმას, რომ ორივე პარტნიორმა სინქრონულად — ერთი რიტმით, ერთი სიჩქარით იმოძრაოს. აქ განსხვავებულა მხოლოდ მოძრაობის მიმართულება — როცა ერთი ასრულებს „წინდაწოლას“, მეორე „უკუ გადაწოლა“ უნდა შეასრულოს; როცა ერთი ხელს კვრავს — მეორე „არეკლავს“ და ა. შ.


სასურველია, რომ ორივე პარტნიორის სხეულის ვერტიკალური მდგომარეობა მუდმივად ურთიერთპარალელური იყოს.

ვარჯაში რვავე საფეხური სრულდება როგორც ადგილზე (ანუ „ფიქსირებული ნაბიჯით“), ისე მოძრაობისას (ანუ ურთიერთგადაადგილების დროს).

ადვილზე, „ფიქსირებული ნაბიჯით“ მუშაობისას ერთმანეთის პირისპირ მდგომ პარტნიორებს შეუძლიათ დიკავონ ორი სხვადასხვა მდგომარეობა: პო-ჭუ, ანუ „ერთ-სახელო ფეხით“ მდგომარეობა, როცა ორავე პარტნიორს ერთმანეთის შესახვედრად წინა აქვს გადადგმული ერთი და იგივე ფეხი, მაგალითად, მარჯვენა (ნახ. 1) და შუან-ჭუ



ანუ „სხვადასხვა ფეხით“ მდგომარეობა, როცა პარტნიორებს წინა აქვთ გადადგმული სხვადასხვა ფეხი: ერთს მარჯვენა, მეორეს კი — მარცხენა (ნახ. 2).



პარტნიორთა კონტაქტი, ცხადია, ხელებით ხორციელდება, რასაც სახელოვნობდაც გვეუბნება: ერთმანეთის პირისპირ რომელიმე ზემოთ აღწერილი წესით მდგარი მოწინააღმდეგე ერთსახელო მავებით ეხებთან ერთმანეთს (ეს არის საწყისი პოზიცია. იხ. სურათი წერილის მეორე სვეტში) და იწყებენ კომპლექსის შესრულებას.

„კვრა“ ხორციელდება ორნაირად — ერთი ან ორივე ხელით.

ტუი-შუს ვარჯიშები ძალზე ჰვავს გველებს საქორწინო რკვეას: მოძრაობა ნელია, მდორე, წრითული, სინქრონული... კონტაქტი პარტნიორებს შორის — ძალზე მცირეა, თითქმის სიმბოლურიც კი.

ეს ყოველივე მართლაც რომ მომწუნსველ შთაბეჭდილებას ახდენს მხახველზე...

იური ჯინაშვილი

სხეციალურად „ლელოსათვის“ (გაგრძელება იქნება)



სურათზე: მიმდინარეობს უდებიტო კადრაკის მონაწილეთა მონაწილე ტური.

პირველად საქართველოში

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას მიძღვინა ექსპერიმენტული ტურნირი უდებიტო კადრაკში, რომელსაც რესპუბლიკის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახახლე მასპინძლობს.

თამაშის წესები უჩვეულოა. ცარიელ დაფაზე მეტრეები როგორიგობით ლაგებენ ფიგურებს (მხოლოდ თავიანთ ნახევარზე) და, როდესაც ყველა ფიგურას დაფაზე განაწილებენ, მხოლოდ შემდეგ აგრძელებენ „ჩვეულებრივი კადრაკის“ თამაშს. ამ უჩვეულო შეჯიბრებაში მონაწილეობენ საერთაშორისო დიდო-

სტატები: ნინა ვაფრინაშვილი, ნანა ალქსანდრია, ზურაბ აზმაიფარაშვილი, გენადი ზაიჩიკი, ლაშა ჯანჯღავა, საერაშორისო ოსტატი თამარ ხმადაშვილი, ოსტატები: თამარ ტაბატაძე, ალექსანდრე ბოკუჩავა, ოსტატობის კანდიდატები: ნიკოლოზ ხეჩიაშვილი, ემილ მიქაელაიანი, მხეილ კიპაშვილი და თემურ მეტრეველი. 6 ტურის შემდეგ 5,5 ქულით დაწინაურდა თამარ ტაბატაძე. მას ნახევარი ქულით ჩამორჩება გენადი ზაიჩიკი. 4,5-4,5 ქულია მოგროვეს ზურაბ აზმაიფარაშვილი და ლაშა ჯანჯღავა.

# თანამედროვე ოლიმპიადები — პირველი მსოფლიო ოლიმპიადები

(დახარული)

სამაგიეროდ ოლიმპიურ თეზის დაუბრუნდნენ ძალისხმეები და მოკიდდნენ.

პირველად მოეწყო მოკრივეთა შეჯიბრება შვიდ წონაში. ჩემპიონები გახდნენ: ჯ. ფინდგენი (უმხატვისი), ო. კერკი (მხატვი და ქვეშეუბუქი), ჰ. სანდერგი (მსუბუქი), ა. იახვი (ქვესაშუალო), ჩ. მადერი (ქვემძიმე) და ს. ბერგერი (მძიმე). ყველა მოკრივე, ცხადია, ამერიკელი იყო.

როგორც უკვე აღვნიშნეთ სენტ-ლუსის პირველად ჩატარდა მშვილდოსანი ქალთა შეჯიბრება. ორ სახეობაში ოქროს მედალი ამერიკელებმა მ. პაუელმა მოიპოვა, მესამეში — გუნდურ ასპარეზობაში კი მთავარი პრიზი ამერიკის ნაკრებს (მამასადამე პაუელსაც) გადაეცა. ე.ი. პაუელი პირველი ქალია, რომელმაც სამი ოლიმპიური ოქროს მედალი დაიხვეწა.

სენტ-ლუსის ოლიმპიური თამაშები პარიზის ოლიმპიადის მსგავსად მსოფლიო გამოფენის თარიღებს დაემთხვა და ამის გამო უსა-



სენტ-ლუსის ოლიმპიადი, როგორც ცნობილია, დაემთხვა მსოფლიო გამოფენის ვადებს და აქაც იხვეწა როგორც პარიზში, მისი დანამატი გახდა. ხურათზე აღებულთა განხორციელება პაროგრაფის ერთი ფრაგმენტი — მოკრივე ქალთა ხაჩვენებელი გამოხვლის მომენტი.

შველოდ გაიქიმა დროში (ფაქტობრივად 5 თვეს მიმდინარეობდა). საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა ამ ფაქტთან დაკავშირებით მტკიცე გადაწყვეტილება მიიღო. მომავალში ეს ორი ღონისძიება ერთმანეთისგან გაეშინა.

სენტ-ლუსისში მოხდა ერთი კურორტული ფაქტი, რომელიც ოლიმპიადებთან დაკავშირებულ ყველა ლიტერატურულ წყაროშია მოხსენიებული. საქმე ეხება განხორციელებულ სკანდალს, რომელიც მოხდა მართონელთა შეჯიბრების დროს. ამერიკელმა ფრედ ლორცამ მე-12 კილომეტრზე შეუძლოდ იგრძნო თავი და ერთ-ერთი მასურებლის ვეტომანქანაში გადაჯდა. ასე გაიარა მან 24 კილომეტრი და ფინიშამდე 8 კილომეტრით ადრე ისევ შეუერთდა მოსაპარეზებს. ლორცა, ცხადია, ფინიშთან პირველი იყო. იგი დიდი ზარზეიმით მიიღეს. აშშ-ს პრეზიდენტის ქალიშვილმა ალისა რუზველტმა „ოლიმპიადის გმირის“ ოქროს მედალი გადასცა. მაგრამ სიყალბე სულ მალე გამოჟღავნდა. ლორცას მედალი ჩამოართვეს და ანონიმურ მფლობელს თომას ჰიქს (ისიც ამერიკელი იყო) გადასცეს. დამწამებში კი სასჯელად საშუალო დისკვალიფიკაცია მიიღო...

III ოლიმპიადებზე პარიზის პირველი ექვსეული ასე გამოიყურებოდა:

აშშ	70	75	64
გერმანია	4	4	5
კანადა	5	2	8
უნგრეთი	2	1	1
ავსტრია	1	1	—



მძღველსათა შეჯიბრების პროგრამაში შეტანილი იყო გირის (ქვის) ტყორცა, როგორც ოლიმპიური ოლიმპიური დისციპლინა. გამარჯვება ამ სახეობაში მოიპოვა კანადელმა ებინგ დემარტომ.

## აკითხვანი — გახათი

ახლა ბევრს წერენ და ლაპარაკობენ იტალიის ნაკრებისა და ტურინის „იუვენტუსის“ წევრზე როგორც ბაქოზე. თქვენს გაზეთშიც არაერთხელ შეგხვდებოდა მასალა ამ ფეხბურთელზე. გათხოვთ, ერთხელ კიდევ მოგვითხროთ მის შესახებ.

0. ნოზაძე, რუსთავი.

რობერტო ბაჯო დღესათვის უდავოდ ყველაზე პოპულარული ფეხბურთელია იტალიაში. მიუხედავად იმისა, რომ განვლილ მსოფლიო ჩემპიონატზე საუკეთესო ფეხბურთელად სალვატორე სკილაჩი აღიარეს, ე.წ. საფეხბურთო „ოსკარი“, რომელიც ცნობილი ფირმა „ლიდორა“ აჯილდოებს „სკუადრა ატურას“ საუკეთესო მოთამაშეს, სწორედ ბაჯოს ერგო.

ბაჯო მეტად ორიგინალური საფეხბურთო ხელწერით გამოირჩევა. თანაბარი სიძლიერით თამაშობს როგორც შეტევას წინა ხაზზე, ისე მოედნის სიღრმეში, შესანიშნავად ფლობს ბურთს, უაღრესად ტექნიკურია. გამოირჩევა მდიდარი ფანჯიით და იმპროვიზაციის უნარით.

რობერტო ბაჯო დაიბადა 1967 წლის 18 თებერვალს იტალიის ჩრდილოეთის პატარა ქალაქ კალდონიოში. იგი და მისი სამივე ძმა ფეხბურთით იყვნენ გატაცებული (საინტერესოა, რომ მისი უმცროსი ძმა ედი საკმაოდ პერსპექტიულ ფეხბურთელად ითვლება და ამჟამად იტალიის იუნიორთა ნაკრების წევრია). 15 წლის ბაჯო საფეხბურთო კლუბ „ჩინეცაში“ ჩაირიცხა. იმ პერიოდში ეს კლუბი ქვეყნის ჩემპიონატის მე-3 დივიზიონში გამოდიოდა. 1985 წლიდან იგი ფლორენციის „ფიორენტინას“ წევრია. სწორედ მაშინ მიიქცია რობერტომ სპეციალისტების ყურადღება. მალე იგი იტალიური ფეხბურთის ამომავალ ვარსკვლავად აღიარეს. „ფიორენტინაში“ მისი თამაში უფრო დაიხვეწა. ბაჯო გუნდის სული და გული, მისი „ღირსი“ გახდა და თავისი შესანიშნავი თამაშის წყალობით შეძლო კლუბი უფა-ს თასის გათამაშების ფინალში „გაეყვანა“. ნაკრების ხელმძღვანელებმაც მალე შეამჩნიეს ნიჭიერი ფეხბურთელი და „სკუადრა ატურაში“ მიიწვიეს. ბაჯოს პოპულარობა ფლორენციაში იმდენად დიდი იყო, რომ, როდესაც სახელგანთქმული ტურინის „იუვენტუსი“ მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში სარეკორდო თანხა — 25 მილიარდი ლირა გადაუხდია „ფიორენტინას“ და ფლორენციელთა საყვარელი ფეხბურთელი შეიძინა, გულმემატკივრებმა თითქმის რევოლუციური გამოსვლები მოაწვეეს ქალაქში.

მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე

ტიფოზები მასზე დიდ იმედებს ამყარებდნენ, მაგრამ მსოფლიოს ყველაზე ძვირადღირებული ფეხბურთელი ნაკრების მწვრთნელმა თავდაპირველად... სათადარიგოთა სკამზე დასვა. მართალია, ვინჩინო ბაჯო შემდეგ მაინც გამოიყვანა მინდორზე და მან ულამაზესი გოლიც გაიტანა, მაგრამ ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ ბევრი სპეციალისტი მიიჩნევდა — ბაჯოს ყველა თამაშში რომ მიეღო მონაწილეობა, იტალიის ნაკრების წარმატებები უფრო თვალსაჩინო იქნებოდა.

რაც შეეხება მის კარიერას ტურინის „იუვენტუსში“, ბაჯო ახლა ამ პოპულარული კლუბის საუკეთესო მოთამაშეა. იტალიელი მემომხილვე



ლები წერენ, რომ იგი ისეთივე როლს ასრულებს გუნდში, როგორც მიშელ პლატინი რამდენიმე წლის წინ. „იუვენტუსში“ ბაჯო თამაშის კონსტრუქტორია და ყველაზე შედეგიანი მოთამაშეც, იმ ფაქტს კი, ეს კლუბი ახლა კრიზისშია განხორციელებული და ქვეყნის ჩემპიონობისათვის ბრძოლას ჩამოშორდა, იმითაც ხსნიან, რომ თებერვლის დასაწყისში მიღებული ტრავმის შემდეგ ფეხბურთელმა ჯერ კიდევ ვერ აღდგინა ჩვეული სპორტული ფორმა.

ტურინში გადასვლის შემდეგ ბაჯომ კლუბისგან სანაწიარდ მიიღო მდიდრული ვილა ქალაქის ერთ-ერთ ფეხბურთელ რაიონში, სადაც ახლა მეუღლესა და 4 თვის ქალიშვილთან ერთად ცხოვრობს. „იუვენტუსში“ გადასვლის მერე მკვეთრად გაუმჯობესდა მისი ფინანსური მდგომარეობაც, რაშიც დიდი წვლილი

მიუძღვის ბაჯოს მეტეორული წინსვლიდან გამოდის. ამ გოლებისა და ნაკრულის ადვილად თვისი თანამშრომლობა პოპულარულ ფეხბურთელთან იმით დაიწყო, რომ ცნობილ სადაზღვევო კომპანია „ლიდოსში“ სარეკორდო თანხად, 50 მილიარდ ლირად დაახლოვდა რობერტო ბაჯოს ფეხები. 1.5 მილიონ ლოლარს, რომელსაც ფეხბურთელს „იუვენტუსი“ უხდის კონტრაქტით, ემატება ის თანხაც, სპონსორები რომ უცდიან რეკლამისათვის. გასული წლის სექტემბერში უკვე ამოქმედდა სანაწარმო, რომელიც უშვებს ფეხსაცმელს, მაისურებს, პალსტუხებს და სხვა ნივთებს რობერტო ბაჯოს ინიციატივით. ბაჯო რეკლამას უწევს, აგ-

# „სამშობლო“ გიფვავით, გულშემატკივრებო!

ალბათ, არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ ახლა, როდესაც ჩვენი ფეხბურთი იძულებით იზოლირებულია, ყველაფერ იმას, რაც შეგვთავაზობს ხელ შეუწყობს ქართული ფეხბურთის პოპულარიზაციას და უცხოეთის საფეხბურთო წრეებთან კონტაქტების გაღრმავებას, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება.

სულ ახლახან საქართველოს ახალგაზრდობის ქრისტიანულ-დემოკრატიულ ასოციაციასთან შეიქმნა იტალიის ქალაქ გენუის ცნობილი საფეხბურთო გუნდის „სამპლორიის“ გულშემატკივართა კლუბი. დამფუძნებელ კრებაზე აირჩიეს კლუბის პრეზიდენტი — თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის სოციოლოგიის კათედრის სტუდენტი ლევან ახვლედიანი და ვიცე-პრეზიდენტი — ამავე ფაკულტეტის სტუდენტი კახა ლორთქიფანიძე.

რამდენიმე შეკითხვით მივმართეთ კლუბის პრეზიდენტს:  
● ლევან, როდის დაიბადა კლუბის შექმნის იდეა?  
— საერთოდ, სახლკარგარეთ არსებობს ასეთი ტრადიცია — გარდა საკუთარისა, იქმნება უცხოეთის ცნობილი საფეხბურთო გუნდების გულშემატკივართა კლუბები. მსოფლიოს მრავალ ქვეყანაშია „ლივერპულის“, „რეალის“, „მილანის“, „იუვენტუსის“, „სამპლორიის“ და სხვათა გულშემატკივრების კლუბები. მოგეხსენებათ, საქართველოში ასეთი კლუბი ჯერ არ ყოფილა, არადა, ეს ახრი დიდი ხანია „გაფშვალბდა“. თანამოაზრენიც მრავალად ვი-

## ნფორმაცია

ვაბაშა ფეხბურთელთა საინტერესო ტურნირი უმასპინძლა ბიკვინთამ. აქ რამდენიმე დღეს გრძელდებოდა ავღანეთში დაღუპულ ადგილობრივ მკვიდრთა სლოტისადმი მიძღვნილი ასპარეზობა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ერევნის, გორის, ახორის, გაგრის და ბიკვინთის გუნდებმა. ტურნირი წრიული სისტემით ჩატარდა. პირველი ადგილი დაიკავეს მასპინძლებმა (მწვრთნელი ნ. ბოზაშვილი); მეორე — გაგრის, ხოლო მესამე — როსტოველმა ჰაბუებმა.

## თენგიზ ზააკარიას

„ღელის“ ხა. კორ.

## ვეროვის ჩემპიონატი

17 აპრილს ბუდაპეშტში გაიმართა 1992 წლის ვეროვის საფეხბურთო ჩემპიონატის შეხარჩევი მატჩი უნგრეთისა და სსრ კავშირის ნაკრებ გუნდებს შორის. თამაში, როგორც მოსალოდნელი იყო, უაღრესად დამაბული გამოდგა და დამთავრდა საბჭოთა ფეხბურთელთა გამარჯვებით, ანგარიშით 1:0. გადაწყვეტილი გოლი მასპინძელთა კარში 30-ე წუთზე გაიტანა მიხაილჩენკომ.

III შესარჩევი ჯგუფის გათამაშების ცხრილი ხადღისოდ:

თ. შ. ფ. ვ. ბ. ქ.					
უნგრეთი	5	2	2	1	7-4 6

სსრ კავშირი 3 2 1 0 3-0 5

იტალია 3 1 2 0 5-1 4

ნორვეგია 3 1 1 1 8-2 3

კვიპროსი 4 0 0 4 2-13 0

მომდევნო მატჩები ჯგუფში 1 მისს გაიმართება: ითამაშებენ იტალია — უნგრეთი, ნორვეგია — კვიპროსი. სსრ კავშირის ნაკრები 29 მისს კვიპროსის გუნდს მიიღებს.

ბასულ ოთხშაბათს გაიმართა ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატის კიდევ ორი მატჩი. პოლანდიისა და ფინეთის გუნდების შეხვედრა მიიგეს პოლანდიელებმა — 2:0 (VI ჯგუფი). ხოლო პოლონელმა ფეხბურთელებმა ვარშავაში მოუგეს თურქეთის ნაკრებს — 3:0 (VII ჯგუფი).

# როგორ აპოუზავს ჯინი ბოთლიდან

## ანუ „ოლიმპიური ვატიკანის“ პრობლემა

შეიძლება თუ არა ოლიმპიადამ უკვე დაიწყო და იმავე ქვეყანაში ჩატარდეს? შეძლებს თუ არა, ალბათ, ყველაფერი შეიძლება, საკითხავია მხოლოდ ექნება თუ არა გამართლება ასეთი გადაწყვეტილების მიღებას.

ანტიკური თამაშების მუდმივი ადგილსამყოფელი ოლიმპია გახლდათ. მაგრამ მაშინდელი ოლიმპიადები მხოლოდ პანბერძნული ღონისძიება იყო და, ამდენად, მათი შედარება თანამედროვე თამაშებთან არ არის სწორი. თანამედროვე ოლიმპიური თამაშები არა მხოლოდ სპორტული შეჯიბრებების კომპლექსია, არამედ მსოფლიოს ახალგაზრდობის გლობალური დღესასწაულიც. რომელშიც ხუთივე კონტინენტის ასამდე (ზოგჯერ მეტი) ქვეყანა მონაწილეობს. ანტიკური ოლიმპიადების ორგანიზატორები ასეთი პასუხისმგებლობას, ცხადია, ვერ იტყობდნენ.

მაინც საიდან მოდის თანამედროვე ოლიმპიადების ერთ ქვეყანაში (ბუნებრივია, საბერძნეთში) ჩატარების იდეა? ვინ, როდის და რა პირობებში წამოაყენა ეს საკითხი პირველად? როგორც ირკვევა, იდეას თითქმის ასწლიანი ისტორია აქვს და იგი ერთ კურორტულ შემთხვევასთანაა დაკავშირებული.

1896 წლის 15 აპრილს ათენის ოლიმპიადის საზეიმო დასრულების ცერემონიაზე ამერიკის სპორტული დელეგაციის ზღვამდევანელმა გულწრფელი მადლობა გადაუხადა ბერძენებს თამაშების ბრწყინვალე ორგანიზაციისთვის და გამოთქვა სურვილი მომავალშიც გადაეცათ მათთვის ეს საპატიო უფლება. როგორც ხედავთ, ამ განცხადებაში კონკრეტულად არაფერია ნათქვამი, მაგრამ ჯინი ამოუშვეს ბოთლიდან და ეს იყო მთავარი.

მას შემდეგ ბერძენები ამ იდეას ყოველ ათ წელიწადში ერთხელ უბრუნდებოდნენ და მუდამ, როგორც წესი, მტკიცე უარს იღებდნენ. ერთ ქვეყანაში ოლიმპიური თამაშების ჩატარების წინააღმდეგი იყო საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ყველა პრეზიდენტი პირველი კუბერტენის ჩათვლით, რომელიც საფუძვლიანად ასაბუთებდა თავის მოსაზრებებს.

1981 წელს, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ბადენ-ბადენის კონგრესის წინ, საბერძნეთის პრემიერ-მინისტრმა კონსტანტინოს


კარამანლისმა (შემდგომში იგი ქვეყნის პრეზიდენტიც გახდა), გამოხატა რა თავისი ხალხის რწმენა და სურვილი, ერთხელ კიდევ წამოსწავინა პლანზე ეს იდეა. ცხადია, ოლიმპიადის მუდმივ ადგილსამყოფელად იგი საბერძნეთის რომელიმე ქალაქს გულისხმობდა.

70-იანი წლების მიწურული და 80-იანი წლების დამდეგი საერთაშორისო ოლიმპიურ მოძრაობაში კრიზისის წლები იყო; მკვეთრად შემცირდა ოლიმპიადის ჩატარების მსურველი ქვეყნების რაოდენობა. სპორტული შეჯიბრებები საქართველს გარეთობად გადაიქცა. გართულდა პოლიტიკური სიტუაცია — აფრიკამ ბოიკოტი გამოუცხადა მონრეალის ოლიმპიადას, ამერიკელებმა — მოსკოვის თამაშებს, სოციალისტურმა ქვეყნებმა — ლოს-ანჯელესს. ერთი სიტყვით, მსოფლიო რამდენიმე დაპირისპირებულ ბანაკად დაიყო.

ასეთ პირობებში „ოლიმპიური ვატიკანის“ შექმნის იდეა, ერთი შეხედვით, მართლაც მომხიბლავი ჩანდა, მაგრამ მხოლოდ ერთი შეხედვით. საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა, ყოველი შემთხვევისთვის, შექმნა ამ საკითხის შემსწავლელი კომისია, რომლის დასკვნები და წინადადებები მოისმინა ბადენ-ბადენის კონგრესმა. თუმცა დისკუსია და კამათი იქ, ფაქტობრივად, არც ყოფილა. ყველა გამოხატულმა დელეგატმა უარყო ბერძენების წინადადება. კონგრესის პასუხი და გადაწყვეტილება, ცხადია, სათანადოდ იყო დასაბუთებული.

მაგრამ იდეა მაინც ცოცხლობს სხვადასხვა ვარიანტში. ერთ-ერთი ასეთი ვარიანტის შესახებ, იყო მსჯელობა უნგრეთის ვახუშტი „ნუნსპორტში“. მისი არსი მოკლედ ასეთია: რომელიმე ნეიტრალურ ქვეყანაში (ავსტრია, ფინეთი, შვეიცარია, შვეიცარია...) უნდა გამოიყოს ავტონომიური ოლიმპიური ტერიტორია და მიეცეს მას ისეთივე უფლებები, როგორც ვატიკანს აქვს. ამ ტერიტორიაზე უნდა აშენდეს სპორტთაშენიან ოლიმპიური დედაქალაქი. ქვეყანა, რომელიც მოიპოვებს ოლიმპიადის ჩატარების უფლებას, იღებს არენდით ამ ტერიტორიას და აწყობს თამაშებს.

ცხადია, იბადება კითხვა: რაში მდგომარეობს ამ დროს ორგანი-



ამ ტერიტორიას ბარსელონაში „არეას პარკს“ უწოდებენ. 100 ჰექტარზე მეტი მიწის ფართობი დათმობილი აქვს ოლიმპიურ სოფელს და მიმდებარე სპორტულ ნაგებობებს. წარმოიდგინეთ, რამდენი ასეთი კომპლექსი უნდა აშენდეს „ოლიმპიურ ვატიკანში“?

ზატორი ქვეყნის ფუნქციები? პირველ რიგში, ალბათ, პროცესუალურ-ორგანიზაციულ საკითხებში და კულტურული პროგრამის მოწყობაში. ორგანიზატორი ქვეყნის ხელმძღვანელი გახსნის თამაშებს, მიიღებს სხვადასხვა დელეგაციას, მოაწყობს გამოფენებს, სანახაობებს და შემდეგ, ყველაფერ ამას, დასურულად გამოაცხადებს. მოკლედ, ყოველ ქვეყანას შეეძლება ოლიმპიური ტერიტორია გარკვეული ვადით იქირაოს. მაშინ თამაშების ჩატარებას მოახერხებენ პატარა, ნაკლებად მდიდარი ქვეყნებიც...

მაგრამ, ამ საკითხის უფრო სერიოზულად შესწავლისას წარმოიშება იმდენი სირთულე, რომ შეიძლება საუბრის ზალისიც დიკარგოს. ჯერ ერთი, „ოლიმპიური ვატიკანის“ იდეა საფუძველზე ეწინააღმდეგება ოლიმპიზმის პრინციპებს. შემდეგ, თამაშების ერთ გეოგრაფიულ წერტილში მიჯაჭვა, რა თქმა უნდა, ვერ გადაწყვეტს პოლიტიკურ პრობლემებს, დაბოლოს, ვინაიდან ოლიმპიური ქალაქი ჯერჯერობით არ არსებობს, საჭიროა მისი აშენება.

ამას კი ზღაპრული თანხები დასჭირდება, მილიონები კი არა — ათობით მილიარდები. წარმოიდგინ-

ეთ, რა უნდა აშენდეს და მოგვარდეს ასეთ ქალაქში უპირველეს ყოვლისა — ტურისტული ცენტრი ასობით ათასი კაცისათვის, მომსახურების სფერო და პერსონალი (კაცმა არ იცის, სად იცხოვრებენ ისინი ოლიმპიადებს შუა პერიოდებში), გზები, აეროპორტები, სადგურები, კავშირგაბმულობის სისტემები... რომ არაფერი ვთქვათ სპორტულ ბაზებზე, სასტუმროებზე, საცხოვრებელ ბინებზე და ა. შ.

და კიდევ — ვინ ააშენებს ყველაფერ ამას? საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს საამისო მილიარდები, ცხადია, არა აქვს. არ გააჩნიათ ასეთი თანხა არც საერთაშორისო ფედერაციებს, არც ერთ-ერთ ოლიმპიურ კომიტეტებს. ესე იგი, დახმარების ხელი ოლიმპიური კომიტეტს „კერძო კაპიტალმა“ უნდა გაუწოდოს. მაგრამ ეს ნიშნავს იმას, რომ სპორტი მთლიანად და საბოლოოდ ბიზნესს დაექვემდებაროს, ამაზე კი, მოგეხსენებათ, არავინ დთანხმდება.

ერთი სიტყვით, „ოლიმპიური ვატიკანის“ იდეა მომხიბლავია მხოლოდ ქალაქდღე. სინამდვილეში კი მას, როგორც ჩანს, განხორციელება არ უწყვიტია. არა და ჯინი უკვე ამოუშვეს ბოთლიდან...

„კლიველენდი“ — „ორლანდო“ 112:102  
„დალასი“ — „მინესოტა“ 102:100  
„ფინიქსი“ — „ლ.-ა. კლიპერსი“ 105:100  
„გოლდენ სტეტი“ — „ლ.-ა. ლიკერსი“ 118:111.

აღმოსავლეთის კონფერენცია ატლანტის დივიზიონი

კლუბი	მ.	წ.	%
„ბოსტონი“	56	23	709
„ფილადელფია“	48	36	544
„ნიუ-იორკი“	38	42	475
„ვაშინგტონი“	30	49	380

„ნიუ-ჯერსი“ 24 55 304  
„მაიამი“ 23 57 288

ცენტრალური დივიზიონი

„ჩიკაგო“	59	21	788
„დეტროიტი“	49	31	618
„მილუოკი“	47	33	588
„ატლანტა“	42	38	525
„ინდიანა“	40	40	500
„კლიველენდი“	31	49	388
„შარლოტა“	26	54	325

დასავლეთის კონფერენცია


შუა-დასავლეთის დივიზიონი

„ხან-ანტონიო“	58	26	671
„იუტა“	52	27	658
„პიუსტონი“	51	28	646
„ორლანდო“	29	51	368
„მინესოტა“	27	58	388
„დალასი“	27	58	388
„დენვერი“	19	60	246

წყნარი ოქაჰისის დივიზიონი

„პორტლენდი“	62	18	775
„ლ.-ა. ლიკერსი“	57	23	718
„ფინიქსი“	54	26	675
„გოლდენ სტეტი“	42	38	525
„ნიუ-იორკი“	40	39	506
„ლ.-ა. კლიპერსი“	31	49	388
„საქრამენტო“	23	56	291

„ინტერნეიშნლ სპორტს ნიუსის“ მასალები მიღებულია საქართველოს ინფორმატიკისა და ტელეკომუნიკაციის ინსტიტუტთან თანამშრომლობით.



მეჭიკ ჯონსონი

## მს-მსაა პეპიტყვით...

### „მეჭიკმა“ დაამხო 17 წლის წინანდელი რეკორდი

ორშაბათს ნბა-ს ჩემპიონატზე გაიმართა მატჩი, რომელსაც კალათბურთის მეფეები იდგი ენტერტინის ელოდნენ. ობიექტურად „ლოს-ანჯელეს ლიკერსი“ და „დალას მევრიკი“ სხვადასხვა პოლუ-სებზე იმყოფებან და ამდენად, შეხების წერტილიც ერთობ პირობითი აქვთ. მაგრამ მოხდა ისე, რომ სწორედ მათ შეხვედრაში გაჩნდა შანსი ნბა-ს ერთ-ერთი უძველესი რეკორდის გაუმჯობესებისა.

პროფესიულ კალათბურთში სწავიერზე არანაკლები დღასება აქვს მოთამაშეს, რომელიც პარტნიორებს შედეგიან გადაცემებს აწვდის. ნბა-ს რეკორდი საკალათბურთო ტექნიკის ამ კომპონენტში ეკუთვნოდა 60-70-იანი წლების „ვარსკვლავს“ ოსკარ რობერტსონს, რომელმაც 14 წლის განმავლობაში 1040 ასეთი გადაცემა გააკეთა. რეკორდი რეგისტრირებული იყო 1974 წელს და მთელი 17 წლის მანძილზე ურყევი დარჩა (რობერტსონის სიმაღლე 195 სანტიმეტრი იყო, წონა — 100 კილოგრამი, როგორც ხედავთ, ფიზიკური მონაცემებით იგი მაინც და მაინც არ გამოირჩეოდა).

და აი, ზემოაღნიშნულ კალენდარულ მატჩში დაემხო რობერტსონის რეკორდი, ამიერიდან რეკორდების ცხრილში განყოფილებას — „შედევანი გადაცემები“ (ეს იგივეა, რაც „საგოლე პასი“) დაემატება ახალი გვარი — „მეჭიკ“ ჯონსონი. ეს მოხდა მეორე ტაიმის (პროფესიონალთა მატჩები, გახსოვთ ალბათ, ოთხი ტაიმისაგან შედგება) მეექვსე წუთზე, როცა ჯონსონმა ზუსტი პასი გადასცა ტერი ტრავლს, და ამ უქანასწელმა ბურთი კალათში ჩააგდო. მიუხედავად ჩემისა, რომ პროფესიულ კალათბურთში მკაცრად იგრობა „რეგლამენტის კულტი“, ამ საგანგებო შემთხვევის გამო შეწყდა თამაში და მინი სპეციფიკური რეგულაციის დროს ჯონსონს სპეციალური ჯილდო გადაეცა. შეხვედრის დამთავრების შემდეგ კი „მეჭიკს“ დარბაზში შემოუტანეს ოსკარ რობერტსონის მოსალოცი დეპეშა.

ჯონსონი (31 წლის, სიმაღლე 206 სმ, წონა — 100 კგ) სარეკორდო შედეგს 13 სეზონი „ამზღებდა“. ამ ხნის მანძილზე ნბა-ს ჩემპიონატებში 871 მატჩი ჩატარდა და ყოველ თამაშში საშუალოდ 11,4 შედეგიან გადაცემას ახორციელებდა. ჯონსონს საერთოდ პროფესიულ კალათბურთში უნიკალური მოვლენად თვლიან. იგი ბოლო დროის ყველა „ოლ სტარის“ („ვარსკვლავთა“ შეხვედრების) მონაწილეა, რაც ნბა-ში უმაღლესი ოსკარტობის საზომიდაა მიჩნეული.

რამდენიმე ხიტყვა ბოლო ტურში გამართულ შეხვედრებზეც: „ჩიკაგო“ — „მაიამი“ 111:101 „შარლოტა“ — „ატლანტა“ 123:111.

„ლელო“ დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა გ. ბურდული, კორექტორები მ. ძეძმაძე, ე. ზომერიკი.

საქართველოს ურთაღ-განეთების გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბა. თბილისი, მ. კოსტავა ქ. 14. ბეჭდვა იუსტურა წესით სავსეთი კარხუზი, სიწმინდის ქ. 29.